არტურ შოპენჰაუერი
Arthur Schopenhauer

ფილოსოფია

(ლექციები, ტრაქტატები)

თარგმანი გერმანული ენიდან
ეკუთვნის თამარ კოტრიკაძეს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

წინამდებარე ტექსტში წარმოდგენილია ფილოსოფიური მსჯელობა საკუთრივ ფილოსოფიური დისციპლინების შესახებ, განხილულია კონკრეტული და აბსტრაქტული ინტელექტუალური აზროვნების წესები, ხოლო ძირითადი ნაწილი ეთმობა ლოგიკური და დიალექტიკური მსჯელობისა თუ არგუმენტაციის ხელოვნებას (ჩამოთვლილი და აღწერილია დებატებში გამარჯვების კონკრეტული ხერხები); და ბოლოს, ავტორი მიმოიხილავს მშვენიერისა და საინტერესოს შორის ურთიერთმიმართებით ასპექტებს.

მთარგმნელი: თამარ კოტრიკაძე
რედაქტორი: დავით ცომაია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6660-9

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....4
შესავალი ფილოსოფიაში.....7
ფილოსოფიის შესწავლის შესახებ.....19
ფილოსოფიის ისტორია.....42
ნაწილი I: სრული წარმოდგენისა და შეცნობის თეორია.....79
ნაწილი II: ბუნების მეტაფიზიკა.....89
ნაწილი III: მშვენიერის მეტაფიზიკა.....91
ნაწილი IV: ზნეობის მეტაფიზიკა.....94
ტრაქტატები.....99

წინასიტყვაობა

მოცემული წიგნი არტურ შოპენჰაუერის ხელნაწერი დანატოვარის ნაწილია, რომელიც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1896 წელს, ლაიფციგში დაიბეჭდა.

აღნიშნულ ხელნაწერები შემდეგი სათაურის ქვეშ გავაერთიანეთ – „ფილოსოფია (ლექციები, ტრაქტატები)“ – რადგან მისი ძირითადი ნაწილი სწორედ ფილოსოფიის სალექციო კურსის მოკლე სამუშაო მონახაზი გახლავთ. მკითხველი შენიშნავს, რომ ტექსტი არა გამოსაქვეყნებლად, არამედ სწორედ ლექციებისათვისაა განკუთვნილი, რომელთა მსვლელობაშიც ბევრი რამ, რაც ტექსტში მხოლოდ მოკლედაა მონიშნული, გაშლილად უნდა ყოფილიყო განმარტებული. თუმცა კითხვისას ასევე იმთავითვე ვრწმუნდებით, დღესაც რაოდენ მნიშვნელოვანი და მრავლისმომცემია ეს ტექსტი როგორც ფილოსოფიის მკვლევრებისა და პედაგოგებისათვის, ისე საკითხით დაინტერესებული რიგითი მკითხველისთვისაც.

როგორც ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, ამ სალექციო კურსით მან თითქმის შეუძლებელი ჩანაფიქრი განახორციელა: ფილოსოფიის ყველა ძირითადი ასპექტი და ასევე ფილოსოფიის ისტორიის მოკლე მიმოხილვა მაქსილამურად კონცენტრირებულად ჩაატია უმოკლეს დროში – ერთსემესტრიან კურსში, რომელიც 1820-1821 წლების ზამთრის სემესტრის განმავლობაში ბერლინის უნივერსიტეტში წაიკითხა.

რაც შეეხება წიგნის დასასრულს მოთავსებულ მოკლე წერილს „ის, რაც საინტერესოა“, ის ამავე პერიოდში, 1821 წელს, ბერლინში დაიწერა და პირველად ასევე მხოლოდ ზემოთ ხსენებულ გამოცემაში იხილა დღის სინათლე. თემატურად ის მჭიდროდ უკავშირდება სალექციო კურსის იმ ნაწილს, სადაც მშვენიერის მეტაფიზიკაზეა საუბარი, ამასთან, ფასდაუდებელ მსჯელობას შენიშნავს ლიტერატურულ ნაწარმოებში მშვენიერისა და საინტერესოს, ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული ურთიერთშეთავსების შესახებ.

მთარგმნელი

შესავალი ფილოსოფიაში

წარდგენა ჩემი ლექციისა და მისი მეთოდის შესახებ

რადგანაც მიზნად დავისახე, მთელი ფილოსოფიის საფუძვლების შესახებ სალექციო კურსი წავიკითხო, მომიწევს, ამ ერთ კურსში მოვაქციო ყოველივე ის, რაც ზოგადად განისაზღვრება შემდეგი ტერმინებით: ეპისტემოლოგია[1], ლოგიკა, ბუნების მეტაფიზიკა, ზნეობის მეტაფიზიკა, ანუ ეთიკა, სამართალმცოდნეობა, მშვენიერის მეტაფიზიკა, ანუ ესთეტიკა... სხვა დროს კი თითოეულ ამ დისციპლინას საგანგებო კურსი ეთმობა.

მიზეზი იმისა, თუ რატომ ვაერთიანებ ყოველივე ამას ერთ სალექციო კურსში და ამით საქმეს ასმაგად ვირთულებ, გამო-

1. ეპისტემოლოგია (სიტყვ. „მოძღვრება წვდომის/შემეცნების შესახებ“) – ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ცოდნას, როგორც ასეთს, მის აგებულებას, სტრუქტურას, ფუნქციონირებასა და განვითარებას.

მდინარეობს არა ჩემი სურვილიდან, არამედ თვით ფილოსოფიის ბუნებიდან. ჩემმა კვლევებმა იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ფილოსოფიას ყველა სხვა მეცნიერებაზე მეტადაც კი ახასიათებს ერთიანობა – მისი ყველა კიდური ერთიმეორისაგან ცოცხალი სხეულის ნაწილებივით განუყოფელია. მათი ურთიერთდაცალკევებისას თითოეული უცილობლად კარგავს თავისი შინაარსისა თუ მნიშვნელობის ნაწილს და *lacera membra*[2]-ს მსგავსად მნახველში ზიზღს იწვევს. წარმოიდგინეთ მოაზროვნე არსება, რომელსაც ადამიანის სხეული არასოდეს უნახავს: ასეთ არსებას სათითაოდ რომ უჩვენონ მოკვეთილი კიდურები – განა შეძლებს კი, არამცთუ მთელ სხეულზე, არამედ რომელიმე ცალკეულ ნაწილზე მაინც შეიქმნას სწორი და სრულყოფილი წარმოდგენა? მაინც როგორ უნდა ჩასწვდეს ხელის მტევნის დანიშნულებას, თუკი მკლავთან გადაბმული არ ნახა, ანდა მკლავის დანიშნულებას, თუკი არ იცის მისი მხართან კავშირის რაგვარობა და მისთანანი? ასევეა ფილოსოფიაც: იგია წვდომა სამყაროსი – იმ სამყაროსი, რომელშიც ვართ და რომელიც ჩვენშია; მისი მთლიანი და განზოგადებული შეცნობა, რომლის შუქიც (თუკი ეს შემეცნება მართლაც სრული და გაწონასწორებულია) იმ ცალკეულსაც გაანათებს, თითოეული ადამიანის ცხოვრებაში რომ ხდება, და მის შინაგან მნიშვნელობასა თუ საზრისსაც განმარტავს... მოცემული წვდომის დანაწევრება და ცალ-ცალკე ნაწილების სახით განხილვა დაუშვებელია.

შეუძლებელია, ვისაუბრო აზროვნების ფორმებზე – ანუ *აბსტრაქტულ* წვდომაზე, რასაც ლოგიკა შეისწავლის – ისე, რომ არ შევეხო *კონკრეტულ* წვდომას, რომელსაც აბსტრაქტული

2. (ლათ.) მოგლეჯილი კიდურები.

მუდამ უშუალოდ უკავშირდება; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუნდამენტურად და ამომწურავად ვერ ჩამოვაყალიბებ ლოგიკის ძირითად დისციპლინარულ საფუძვლებს წვდომის უნარის, როგორც ერთი მთლიანის, განხილვის გარეშე; და არ შემიძლია, არ გამოვყო აგრეთვე კონკრეტული წვდომა, როგორც ასეთი, მისი ფორმებითურთ – სივრცით, დროითა და მიზეზებით, რა ყოველივესაც უკვე მეტაფიზიკის ველში გადავყავართ... ხოლო თუკი კონკრეტულ წვდომაზე ვლაპარაკობ, მაშინ მთელ სამყაროს მხოლოდ იმ სახით მოვიაზრებ, როგორც ეს ჩვენს წარმოსახვაში არსებობს, და ვაჩვენებ, რომ თითოეული ობიექტი და თითოეული საგანი მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენებში მყოფი სურათია. მაშ, თუკი არ მსურს, შეცდომაში შეგიყვანოთ და დაგარწმუნოთ, თითქოს სამყარო ოდენ ზმანებაა და ცარიელი სიზმარი, მაშინ უცილობლად უნდა დავსვა კითხვა: რას ნიშნავს ჩვენს წარმოსახვაში არსებული მოცემული სურათები? რას წარმოადგენს ისინი ჩვენი წარმოსახვისაგან დამოუკიდებლად, *თავისთავად*? შესაბამისად, გარდაუვალად მივდივარ *თავისთავადი საგნების* მოძღვრებასთან, რომელიც სამყაროს ნამდვილ და თავისთავად არსს შეისწავლის – ე.ი. მეტაფიზიკასთან, როგორც ასეთთან, რაც მაიძულებს, ჩემი თავდაპირველი ხედვა სამყაროს შესახებ (როგორც წარმოსახვითი სურათისა) მისივე მეორე მხარის, მისი შიდა ფენომენის ხედვით განვავრცო... მაშასადამე, მთელი მეტაფიზიკა უნდა შეგასწავლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემგან უფრო მეტ ზიანს მიიღებთ, ვიდრე სიკეთეს, ჩაგინერგავდით რა სრულიად მცდარ და მავნე იდეალიზმს ჩემი ლექციების მეშვეობით.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუკი იმ საგანთა შინაგანი არსის კვლევის შედეგად – რომლებიც სივ-

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

ფრიდრიხ ნიცშე –

1. ანტიქრისტე
2. დიონისეს დითირამბები
3. სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
5. კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

მერაბ მამარდაშვილი –

1. საუბრები აზროვნებაზე
2. სიმბოლო და ცნობიერება
3. კარტეზიანული განაზრებანი
4. ცნობიერება და ცივილიზაცია
5. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
6. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

სიორენ კირკეგორი –

1. შიში და თრთოლვა
2. სატანჯველის სახარება
3. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან

ზიგმუნდ ფროიდი –

1. ეგო და Id
2. მოსე და მონოთეიზმი
3. ფსიქოანალიზის შესავალი
4. უკმაყოფილება კულტურით
5. მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
6. სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
7. ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

ლევ შესტოვი –

1. უსაფუძვლობის აპოთეოზი
2. შემეცნების ფილოსოფია და თეორია
3. შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

სვამი ვივეკანანდა –

1. კარმა-იოგა
2. ბჰაქთი-იოგა
3. შთაგონებული საუბრები
4. პატანჯალის იოგა სუტრა
5. ძველი ინდური ფილოსოფია
6. მედიტაცია და მისი მეთოდები

კარლ იასპერსი –

1. ნიცშე და ქრისტიანობა
2. ფილოსოფიის შესავალი

ბერტრან რასელი –

1. ესეები
2. ქორწინება და მორალი
3. რატომ არ ვარ ქრისტიანი

ერიხ ფრომი –

1. ადამიანის სული

მიგელ დე უნამუნო –

1. ქრისტიანობის აგონია

იმანუელ კანტი –

1. მარადიული მშვიდობისკენ

ედმუნდ ჰუსერლი –

1. ამსტერდამული მოხსენებები

ხოსე ორტეგა-ი-გასეტი –

1. ეტიუდები სიყვარულზე

ნიკოლაი ბერდიაევი –

1. ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

გუსტავ ლე ბონი –

1. მასების ფსიქოლოგია
2. ერების ფსიქოლოგია

ჯიდუ კრიშნამურტი –

1. მედიტაცია
2. თავისუფლება ცნობილისგან
3. სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
4. პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

ოშო –

1. სექსი
2. ცნობიერების მზე
3. საწყისთა საწყისი

4. სიყვარულის ძალა
5. რა არის მედიტაცია?
6. გზა სრულყოფილებისაკენ
7. სიცოცხლე, სიყვარული, სიცილი
8. სექსიდან სუპერცნობიერებამდე
9. მომავლის ადამიანის უფლებები

ალექსანდრე ბერკმანი –
1. ანარქიზმის ანბანი

ემა გოლდმანი –
1. ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

დ. ჰ. ლოურენსი –
1. ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
2. ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

იულიუს ევოლა –
1. ომის მეტაფიზიკა
2. ვეფხვის მორჯულება

მაჰათმა განდი –
1. გზა ღმერთისაკენ
2. ეთიკური რელიგია
3. ჯანმრთელობის გასაღები
4. რას ნიშნავს იესო ჩემთვის

გიორგი გურჯიევი –
1. გრძნეულთა ბრძოლა
2. დანახული რეალური სამყაროდან
3. შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან

4. ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის
5. ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“

ნონა ხიდეშელი –
1. Carpe diem
2. მეტამორფოზა

ჯორჯ ბერკლი –
1. ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

ავტორთა ჯგუფი –
1. სპინოზას ფილოსოფია

ირაკლი ბრაჭული –
1. ზეკაცის ჰერმენევტიკა

ჟან-პოლ სარტრი –
1. ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

ჯონ სტიუარტ მილი –
1. სოციალიზმი
2. თავისუფლების შესახებ
3. ქალთა დაქვემდებარება

გაბრიელ მარსელი –
1. იყო და ფლობდე

დევიდ ჰიუმი –
1. რელიგიის ბუნებრივი ისტორია

ლუდვიგ ბინსვანგერი –
1. ეგზისტენციალური ანალიზი

არმინ ნავაბი –

1. რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი

ანი ბეზანტი –

1. კარმა
2. ბუდიზმი
3. ჯაინიზმი
4. თეოსოფია
5. მორალის საფუძვლები
6. ადამიანის შვიდი პრინციპი
7. ეზოტერული ქრისტიანობა თუ მცირე მისტერიები

რიჩარდ დოკინსი –

1. ღმერთის დელუზია

ელენა ბლავატსკაია –

1. თეოსოფიის გასაღები

რუდოლფ შტაინერი –

1. ეგოიზმი ფილოსოფიაში

ედუარდ ბერნეისი –

1. პროპაგანდა

ალფრედ ადლერი –

1. ინდივიდუალური ფსიქოლოგია

ვლადიმირ სოლოვიოვი –

1. ფილოსოფია I ხელოვნება

მარტინ ლუთერი –

1. ქადაგება სიკვდილისთვის მზადების შესახებ

პაულ ტილიხი –

1. კულტურის თეოლოგია

სადჰგურუ –

1. შინაგანი ინჟინერია

ოსვალდ შპენგლერი –

1. გადაწყვეტილებათა წლები

მაჰაბჰარატას მეექვსე თავი –

1. ბჰაგავადგიტა

არტურ შოპენჰაუერი –

1. ფილოსოფიის შესავალი